ნარბი +
თბილისი. ძვიშხეთის ქ. კ-1. ბ-21
ტელ.: 995 32 61 59 49
მობ.: 995 99 50 59 49
tamazi.kvrivishv@mail.ru

NARBI +
Ap-t 21. K-1. Kvishkheti Str. Tbilisi. Georgia
Tel: 995 32 61 59 49
Mob: 995 99 50 59 49
tamazi.kvrivishv@mail.ru

ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. №84-ში ს/ს "ელმავალმშენის" მე-10 კორპუსის დემონტაჟის ზეგავლენაზე მეზობლად მდგარ შენობების მდგრადობაზე.

დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის №84-ში მდებარე ს/ს "ელმავალმშენის" კუთვნილ ნაკვეთზე (ს.კ. 01.12.01.003.169) მე-10 (№107) კორპუსის დემონტაჟის ზეგავლენა მის მიმდებარედ მდგარი შენობების (საკადასტრო გეგმით №034 და №035) მდგრადობაზე.

მოცემული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში. იგი რთული მოხაზულობისაა. საერთო ფართით 395883 მ2. მის ჩრდილო ნაწილში განთავსებულია სადემონტაჟო საამქროები საკ. ნომრით 33; 38 და 107 (იგივე მე-10 კორპუსი).



ჩვენ დავათვალიერეთ და შევისწავლეთ საკ. ნომრით 107 შენობა (იგივე მე-10 კორპუსი), ვინაიდან საკ. ნომრით 33 და 38 შენობები მდებარეობენ სხვა ნაგებობებიდან მოშორებით და

მათი დემონტაჟი სხვა ნაგებობების მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის.
მოცემული შენობა საკ. ნომრით 107 (იგივე მე-10 კორპუსი) გეგმაში მართხკუთხა ფორმისაა, ზომებით 31.8X79.00 მ. იგი წარმოადგენს ერთსართულიან, სამრეწველო ნაგებობას. იგი ორმალიანია მალის სიგრძით 14.70 და 15.60 მ. სიმაღლით 9.40 მ. შენობის მზიდ ჩონჩხს წარმოადგენს კონბინირებული, ერთსართულიანი სამრეწველო კარკასი, მონოლითური რკინაბეტონის სვეტებისა და ლითონის ფერმების გამოყენებით. შენობას გააჩნია ხიდურა ამწეები, რისთვისაც სვეტებზე დაყრდნობილია ამწის კოჭები. შენობა დახურულია მონოლითური რკინაბეტონის ფილით, სისქით სავარაუდოთ 150 მმ, რომლებიც დაყრდნობილია ლითონის ფერმებზე გადებულ ლითონის კოჭებზე. შენობას გააჩნია ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციისთვის განკუთვნილი ლითონის ფარნები. გარე კედლები გამომწვარი თიხის წითელი აგურის წყობისაა, ქვიშა-ცემენტის დუღაბზე. მოცემული საამქრო გამოყოფილია მომიჯნავე საამქროსაგან (საკ. ნომრით 34) ტემპერატურული და სეისმიური ნაკერით, სიგანით 2.55 მ. მომიჯნავე შენობა (საკ. ნომრით 34) კონსტრუქციულად დამოუკიდებელია განსახილველი შენობისაგან,

შენობის ვიზუალურმა დათვალიერებამ გვაჩვენა, რომ მისი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ლითონის კონსტრუქციები დაფარულია კოროზიით, გადახურვის ჰიდროიზოლაცია პრაქტიკულად აღარ არსებობს, რის შედეგადაც გადახურვის მონოლითური ფილა შენობის ზოგ ნაწილში ჩამონგრეულია, ფილის ქვედა შრის არმირების დამცავი შრე დარღვეულია და არმატურის ბადე კოროზირებულია,









ატმოსფერული ნალექებისა და ზამთარში ყინვის ზემოქმედებისაგან ნაწილობრივ ჩამოშლილია საამქროს შემომფარგვლელი კედლის აგურის წყობა.





შენობა საკ. ნომრით 34, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოყოფილია ტემპერატურული და სეისმიური ნაკერით, ხოლო შენობა საკ. ნომრით 35-ს საერთო შეხება განსახილველ შენობასთან არა აქვს. ის ესაზღვრება 34 –ს.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსახილველი შენობის, საკ. ნომრით 107 (მე-10 კორპუსი), მიმდებარე შენობასთან საკ. ნომრით 34 კონსტრუქციულად არ არის გადაბმული და დემონტაჟისას მის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება. დემონტაჟი უნდა განხორციელდეს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების შემდეგ, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს დამატებითი ღონისძიებები მიმდებარე შენობის, საკ ნომრით 34, უსაფრთხოებისათვის.

შ.პ.ს ”ნარბი+” დირექტორი

ინჟინერ-კონსტრუქტორი: თ.ქვრივიშვილი